

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში  
სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2013-2015 წლებში გაწეული საქმიანობის  
ანგარიში და სამომავლო გეგმები**

**ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია**

2013-2015 წლების განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეფექტიან კოორდინაციას უწევდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომების მუშაობას. აღნიშნულ პერიოდში გაიმართა კომისიის 60-მდე სხდომა დემოკრატიის, მართლმსაჯულების, კონფლიქტის მოგვარების, თავდაცვის, უსაფრთხოების, ენერგეტიკის და სხვა საკითხებზე. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე გაიმართება კომისიის სხდომები კიბერუსაფრთხოების, სახალხო დიპლომატიის, წლიური ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის შეფასებისა და სხვა საკითხებზე.

**საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების  
კოორდინაცია**

2013-2015 წლების განმავლობაში შემუშავდა 3 წლიური ეროვნული პროგრამა. წლიური ეროვნული პროგრამის პროექტები დეტალურად განიხილებოდა ნატო-ს წევრი ქვეყნების ექსპერტებთან და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სამჯერ ესტუმრა ნატო-ს შემფასებელთა მისია წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების განხილვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელება საუკეთესო შეფასებებს იღებდა ნატო-ს მხრიდან.

წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს ეწვევა ნატო-ს შემფასებელთა მისია.

**საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის  
მუშაობა**

2013-2015 წლების განმავლობაში, ეფექტიანად ფუნქციონირებდა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისია. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. კომისიის სხდომაზე დამტკიცდა წლიური ეროვნული პროგრამები, განიხილებოდა ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები, წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელების თვითშეფასების დოკუმენტის მომზადების საკითხი, წლიური ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციის ნატო-ს შეფასების დოკუმენტი და ნატო-ს სამიტზე

საქართველოსათვის სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები.

### **2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტის შედეგები**

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტი უაღრესად დადებითი და მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იყო საქართველოსათვის. უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი, რომლის იმპლემენტაცია წარმატებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია პაკეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტის, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

გარდა ამისა, საქართველო, როგორც ნატო-ს ოპერაციების ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორი, გახდა „გამლიერებული შესაძლებლობების ჯგუფის“ „თავსებადობის პლატფორმის“ ფარგლებში, ისევე როგორც „თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდის ინიციატივის“ მონაწილე.

სამიტის დეკლარაციაში კვლავ დადასტურდა ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა.

### **ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს და ნატო-ს მაღალი რანგის წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტი**

2013-2015 წლები საქართველოში სხვადასხვა დონის ვიზიტების თვალსაზრისით საკმაოდ ინტენსიური პერიოდი იყო. 2013 წლის 26-27 ივნისს ნატო-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით საქართველოს ესტუმრა ჩრდილოატლანტიკური საბჭო. 2015 წლის იანვარში, საქართველოს ვიზიტით ეწვია ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდერ ვერშბოუ. 2015 წლის 26-27 აგვისტოს, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატო-ს გენერალური მდივანი, იანს სტოლტენბერგი.

### **ნატო-ს ვარშავის სამიტისათვის მზადება**

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით ვარშავის სამიტზე პროგრესის მიღწევის მიზნით და სამიტზე მაქსიმალური შედეგის მისაღებად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით.

## საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაცია და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება

2013 წელს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე (AA) და მის ნაწილზე - საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DC FTA).

ასოცირების შესახებ შეთანხმების პრაფირება 2013 წლის 28-29 ნოემბერს, ვილნიუსის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე განხორციელდა.

2014 წელს შეთანხმდა ასოცირების დღის წესრიგი. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს.

ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში (საქართველოს პარლამენტმა ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება 2014 წლის 18 ივლისს მოახდინა. ევროპარლამენტმა შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა 2014 წლის 18 დეკემბერს. ამ ეტაპზე, ევროკავშირის 24 წევრმა ქვეყანამ განახორციელა შეთანხმების რატიფიცირება).

ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 3 სექტემბერს დამტკიცდა, ხოლო 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2015 წლის 26 იანვარს.

საქართველო ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატებების მიხედვით.

საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები პოზიტიურად შეფასდა 2014 წლის 17 ნოემბერს გამართულ ასოცირების საბჭოს პირველ სხდომაზე, ასევე ევროპელი ექსპერტების მიერ.

წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია. ბოლო 3 წელიწადში ჩატარდა კომისიის 11 სხდომა.

ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ძლიერდება შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობები. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სტრუქტურულად გაფართოვდა. სახელმწიფო უწყებებში ჩამოყალიბდა ევროინტეგრაციაზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულები და მიმდინარეობს თანამშრომელთა ინტენსიური ტრენინგები ევროინტეგრაციის თემატიკაზე.

შექმნის პროცესშია ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

### **თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობისა“ და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში**

საქართველო აქტიურადაა ჩართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსისა და რიგის სამიტები. გარდა ამისა, მომზადდა წინადადებები აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვასთან დაკავშირებით.

საქართველო გახდა მიმზიდველი ადგილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების თვალსაზრისით. ბოლო 3 წლის განმავლობაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველოში გაიმართა: 2013 წლის 12-13 თებერვალს აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური დიალოგის მინისტრიალი; 2013 წლის 27-28 ივლისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პირველი მინისტრიალი; ასევე, 2014 წლის 29 სექტემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლების კონფერენციის მე-4 სხდომა. 2015 წლის 26-27 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, იგეგმება ჯანდაცვის საკითხებზე არაფორმალური მინისტრიალის გამართვა თბილისში.

აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში. განხორციელებული პროექტების ძირითადი მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების განხორციელებაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა, „ცირკულარული მიგრაციის“ მხარდაჭერა, ასევე, სამშობლოში დაბრუნებული ქართველი იმიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

**საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციისა და სავიზო საკითხებზე** საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების თვალსაზრისით, რაც მკაფიოდ აღინიშნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტის დეკლარაციაში. საქართველოს მთავრობამ პრაქტიკულად შეასრულა ყველა ვალდებულება და რეკომენდაცია. ამჟამად ველოდებით ევროკავშირის ექსპერტების მისიებს.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე ევროკომისიის ანგარიში 2015 წლის დეკემბერში გამოქვეყნდება.

## **სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა**

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგში.

ამავე დროს, საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს შორის, რომელმაც არასამთავრობო სექტორი აქტიურად ჩართო შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

ჩამოყალიბდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა.

## **ევროკავშირის დახმარების კოორდინაცია**

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის სხვადასხვა დახმარების პროგრამებისა და პროექტების საშუალებით და ხელს უწყობს საქართველოს ევროინტეგრაციის რეფორმების წარმატებით განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რეფორმების წარმატების კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირის დახმარების ოდენობა და ამასთან, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება ევროკავშირის უფრო ფართო და მრავალსომცველი დახმარების ინიციატივები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელი მოეწერა 2014-2017 წლების ევროკავშირის ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამას (Single Support Framework - SSF) რომელიც საქართველოსთვის 410 მილიონ ევრომდე დახმარებას ითვალისწინებს შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში:

- სოფლის მეურნეობის განვითარება;
- მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერება;
- საჯარო სამსახურის რეფორმის მხარდაჭერა;
- სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება.

ჩატარდა აქტიური ღონისძიებები ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამის (Single Support Framework - SSF) ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების (410 მლნ. ევრო) განსახორციელებლად, კერძოდ ხელი მოეწერა 3 საფინანსო შეთანხმებას, რომელთა საერთო ბიუჯეტმა 112 მლნ ევრო შეადგინა.

1. ევროკავშირის დახმარების 2014 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამა - 44 მლნ. ევრო.

2. ევროკავშირის დახმარების 2014 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული მართლმსაჯულების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა - 50 მლნ. ევრო.
3. ევროკავშირის ინიციატივა “მეტი მეტისათვის” ფარგლებში დაგეგმილი ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა - 10 მლნ. ევრო.
4. ევროკავშირის ინიციატივა “მეტი მეტისათვის” ფარგლებში დაგეგმილი ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტიზის პროგრამა - 8 მლნ. ევრო

ევროკავშირის აღნიშნული დაფინანსება ხმარდება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელებას, კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამა მოხმარდება კერძო სექტორის განვითარებას, მცირე და საშუალო (SME) საწარმოთა ხელშეწყობას და მათ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტაციას. მართლმსაჯულების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების სექტორის ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესება, კანონის უზენაესობის კონსოლიდაცია, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. ადამიანის უფლებათა დაცვის მხარდაჭერის პროგრამა გამიზნულია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ ისეთი მიმართულებების მხარდასაჭერად, როგორებიცაა: უმცირესობების უფლებათა დაცვა, სამართალდამცავი ორგანოების შიდა და გარე ზედამხედველობის გაძლიერება, შრომითი უფლებები, გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა. ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტიზის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების პროგრამა გამიზნულია ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების მხარდასაჭერად, კერძოდ, დახმარება მოხმარდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას.

ევროკავშირის მიმდინარე პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას. ამ მიმართულებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის პროგრამებისა და პროექტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში:

- ✓ საჯარო სამსახურების დამშობილების (Twinning) პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა უწყებაში დასრულდა 16 და მიმდინარეობს 7 პროექტის განხორციელება.

- ✓ ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამა TAIEX-ის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მიიღო და განიხილა 125 საპროექტო წინადადება.
- ✓ პროგრამა SIGMA-ს ფარგლებში (ხელშეწყობა მართვისა და მმართველობის სისტემების გაუმჯობესებაში). საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 5 საექსპერტო დახმარების პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმების განხორციელებაში მონაწილე საჯარო უწყებების მხარდაჭერას.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცედურებთან მიმართებაში საქართველოს საჯარო უწყებების შესაძლებლობების გაზრდა. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ იქნა 25-მდე სემინარი და კონფერენცია, სადაც წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები ევროკავშირის დახმარების სტრუქტურის, მიზნებისა და საქართველოსთვის ხელმისაწვდომი პროექტებისა და პროგრამების და მათი განხორციელების პროცედურების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად ჩაერთო ევროკომისიის ინიციატივაში, რომელიც გულისხმობს 2007-2013 წლებში ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შეფასებას. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს მხარეს დაეხმარება შეიმუშაოს პროექტების მონიტორინგის და შეფასების ერთობლივი მექანიზმი და ასევე, უკეთესად დაგეგმოს ევროკავშირის სამომავლო დახმარება.

ამასთან, საქართველოში დონორთა კოორდინაციის ერთიანი მექანიზმის შემუშავების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისმა სამსახურმა ჩაატარეს ინტენსიური კონსულტაციები ევროკომისიის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამ პროცესების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავდა და სატესტო რეჟიმში ამოქმედდა დონორთა საქმიანობის კოორდინაციასთან დაკავშირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც ონლაინ რეჟიმში ფუნქციონირებს და ყველასათვის არის ხელმისაწვდომი.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა საჯარო სამსახურის რეფორმის ახალი კანონმდებლობის მომზადებაში, რაც მომავალში საფუძვლად დაედება საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებას. შედეგად, შემუშავდა სახელმწიფო მმართველობის

გზამკვლევი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რეფორმების განხორციელება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში როგორცაა:

- ცენტრალური და რეგიონული მმართველობა;
- ანტიკორუფციული პოლიტიკა;
- ელექტრონული მმართველობა;
- სახელმწიფო შესყიდვები.

საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და ევროკომისიასთან ჩატარებული კონსულტაციების საფუძველზე, მიღწეულ იქნა პროგრესი საქართველოს ახალ - ე.წ. თანამეგობრობის პროგრამებში ჩართვის უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის პროგრამა HORIZON 2020-ში ასოცირებული წევრის სტატუსით მონაწილეობასთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში. შედეგად, 2015 წლის 3 ივნისს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებების პროცესი ევროკომისიასთან და შეთანხმდა შესაბამისი ორმხრივი შეთანხმების ტექსტი ევროკომისიასთან, რომლის ხელმოწერა გაიმართება 2015 წლის ბოლოს. HORIZON 2020-ის პროგრამაში ასოცირებული წევრის სტატუსით მონაწილეობა საქართველოს გაუხსნის დამატებით შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ახალ და მრავლისმომცველ ინიციატივებში განათლების სფეროში.

ასევე, წარმატებით გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის ინიციატივა „Creative Europe“-ში მონაწილეობა, რაც ახალ და ბევრად ფართო შესაძლებლობებს გვთავაზობს საქართველოს კულტურის სფეროს განსავითარებლად.

საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის რეგიონალურ ინიციატივებში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს პროგრესი ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის განხორციელების პროცესში, რომლის ბიუჯეტი 50 მილიონი ევროს შეადგენს შავი ზღვის რეგიონის 8 მონაწილე ქვეყნისათვის და ითვალისწინებს რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებას არასამთავრობო ორგანიზაციების და რეგიონალური წარმომადგენლობების დონეზე. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ჩატარებული უწყებათაშორისი კონსულტაციების საფუძველზე შეთანხმდა პროგრამის 2014-2020 წლების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც საფუძველად დაედება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. ამავდროულად, მიმდინარეობდა 2007-2013 წლების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტების განხორციელების კოორდინაცია და პროექტების ბენეფიციარი ორგანიზაციების საკონსულტაციო მხარდაჭერა. ამ ეტაპზე, საქართველოს ორგანიზაციების მონაწილეობით ტურიზმის, გარემოს



დაცვისა და კულტურის სფეროებში მიმდინარეობს 35-მდე საზღვრისპირა თანამშრომლობის პროექტი, რაც პროექტებში ჩართულობის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია სხვა მონაწილე ქვეყნებს შორის.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს რეგიონალურ ინიციატივებში ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში. მათ შორის, აღსანიშნავია ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 12 მლნ. ევრო დახმარებას და მიზნად ისახავს საქართველო-სომხეთის და საქართველო-აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონების განვითარებას ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სფეროებში. ამ მხრივ წარმატებით გაიმართა მოლაპარაკებების 14 რაუნდი საქართველო-სომხეთის და საქართველო-აზერბაიჯანის დელეგაციებს შორის და მომზადდა ყველა აუცილებელი პროცედურა კონკრეტული, რეგიონზე ორიენტირებული პროექტების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველო-სომხეთის ორმხრივი პროგრამის ფარგლებში წარმატებით დაფინანსდა 8 პროექტი ტურიზმის, გარემოს დაცვისა და მცირე ბიზნესის განვითარების სფეროებში, რომლებიც მოხმარდება საქართველო-სომხეთის მოსაზღვრე რეგიონების განვითარებას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ტურისტული პოტენციალის ზრდას და ხალხთა შორის კონტაქტების გამყარებას.

### **ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაცია**

ევროპული და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებზე ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეიქმნა ცალკე სტრუქტურული ერთეული - სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საკითხებზე აქტიურად მუშაობს მისი სსიპ-ი „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“, ერთობლივად შემუშავებული ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საზოგადოების ინფორმირების 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. საქართველოს მიერ საქართველო-ევროკავშირის „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების შესახებ 2015 წლის 8 მაისს გამოქვეყნებული ევროკომისიის მესამე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის თანახმად, გაძლიერდა საინფორმაციო კამპანია ვიზა ლიბერალიზაციის საკითხებზე. კერძოდ, „2014-2017 წლებისთვის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ ფარგლებში, შემუშავდა „ევროკავშირი-

საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებს, მათ შორის შეხვედრებს მოსახლეობასთან დედაქალაქსა და რეგიონებში, სემინარებსა და ტრენინგებს მედიისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის, ასევე, ფართო მასშტაბიან მედია კამპანიას.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში:

- მომზადდა ორი საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სადაც ევროკავშირთან მომავალი უვიზო რეჟიმის პირობებში მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობებია ახსნილი. ვიდეო რგოლები განთავსდა ნაციონალურ და რეგიონალურ სატელევიზიო და რადიო არხებზე, ასევე, სოციალურ მედიაში, როგორც ქართულ, ისე უმცირესობების ენებზე;
- შემუშავდა და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა ინტერნეტ აპლიკაცია;
- ინფორმაცია უვიზო მიმოსვლით სარგებლობის წესების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთებსა და საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალებზე;
- შემუშავდა, დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები - 15 000 ცალი ქართულ ენაზე, 10 000 ცალი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ენებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის და მისი სსიპ-ის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით, ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთო ჯამში გაიმართა 800-მდე შეხვედრა. კერძოდ, შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები გაიმართა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სასულიერო პირებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგიონებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებთან.

ყოველწლიურად ტარდება ნატო-ს კვირეული, რომლის ფარგლებშიც იმართება მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის თემაზე. 2015 წელს, ნატოს კვირეული 19-26 ოქტომბერს გაიმართება.

ასევე, ყოველწლიურად იმართება ევროკავშირის კვირეული და საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“.